უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 25

2019 წ. „12“ 07

ქ. თბილისი

შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისა და შპს ნიუ უნივერსითის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული შპს ნიუ უნივერსითის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და ავტორიზაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ 2019 წლის 3 და 10 ივლისს წარმოდგენილი წერილების (ცენტრში რეგისტრაციის №893919; №929838), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ნიუ უნივერსითის (ს/კ: 204379083) ავტორიზაციის ვადად 2019 წლის 12 ივლისიდან განესაზღვროს 1 (ერთი) წელი და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვროს 1 150-ით.
2. შპს ნიუ უნივერსითის მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის №10 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ
1.	კომპიუტინგი	ინჟინერიის ბაკალავრი კომპიუტინგში	240	არააკრედიტირებული
2.	მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	არააკრედიტირებული
3.	ფინანსები (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში	240	არააკრედიტირებული
4.	ფარმაცია	ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში	240	არააკრედიტირებული
5.	სამართალი	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტირებული
6.	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)	ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში	240	არააკრედიტირებული
7.	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	არააკრედიტირებული
8.	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	არააკრედიტირებული
9.	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration	240	აკრედიტირებული

10.	ტურიზმი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	არააკრედიტირებული
11.	საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	აკრედიტირებული
12.	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში	240	არააკრედიტირებული